

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

21. 12. 2016 წელი

ვგზ. N2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერია

ფინანსური აუდიტის ანგარიში N81/36
2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძველები	6
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები.....	6
არაფინანსური აქტივები	9
ვალდებულებები.....	12
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	13
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	13
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	13
ადამიანური რესურსების მართვა	13
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები.....	14
ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.....	15
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	16



ზოგადი ინფორმაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერია არ წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს. მერია, როგორც დაწესებულება (ადმინისტრაციული ორგანო), შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, რომლებიც ქმნიან მერიის ერთიან სისტემას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი. მერი აირჩევა ოთხი წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. მერი ანგარიშვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არის საბიუჯეტო დაწესებულება და მისი დაფინანსების წყაროა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 107,622,400 ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 107,651,818 ლარი, ხოლო გადახდამ (საკასო ხარჯმა) - 102,303,059 ლარი (იხ. ცხრილი 1).

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	დაზუსტებული გეგმის შესრულება (%)
ხარჯები	46,504,700	47,802,571	46,289,910	96.8
შრომის ანაზღაურება	4,590,500	4,590,500	4,385,116	95.5
საქონელი და მომსახურება	16,118,900	16,950,905	16,379,809	96.6
პროცენტი	2,666,700	2,666,700	2,586,915	97.0
სუბსიდიები	16,070,000	14,244,000	14,052,440	98.7
გრანტები	5,000	1,833,700	1,830,457	99.8
სოციალური უზრუნველყოფა	5,399,100	6,110,703	5,736,930	93.9
სხვა ხარჯები	1,654,500	1,406,063	1,318,243	93.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	49,036,300	47,219,042	43,796,867	92.8
ფინანსური აქტივების ზრდა	2,029,000	2,029,000	2,029,000	100.0
ვალდებულებების კლება	10,052,400	10,601,205	10,187,282	96.1
სულ დაფინანსება	107,622,400	107,651,818	102,303,059	95.0

ცხრილი 1. ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის დაფინანსება 2013 წელთან მიმართებაში გაზრდილია 54%-ით, ხოლო 2014 წელთან მიმართებაში - 27.9%-ით (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ (ლარში)

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს



ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



პირობითი მოსაზრების საფუძველები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

გარემოება N1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, აქციების და სხვა კაპიტალის ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,029,000 ლარს. ბალანსში ასახულია მხოლოდ 2015 წელს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების კაპიტალში განხორციელებული შენატანები¹. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ, სხვადასხვა წლებში, განხორციელებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების კაპიტალში შენატანები, რაც მოქმედი რეგულაციების შესაბამისად², არ არის ასახული აქციების და სხვა კაპიტალის მონაცემებში, რადგან ოპერაცია ბიუჯეტიდან დაფინანსებული იყო სხვა ხარჯების მუხლიდან.

გარემოება N2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/ მომსახურების მიწოდებით 2015 წლის 1 იანვრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 95,013 ლარს. აუდიტის ობიექტის განმარტებით, არსებული დოკუმენტაციით არ დგინდება აღნიშნული მოთხოვნების წარმომავლობა და საფუძველი. ამასთან, ორგანიზაციას 2015 წლის განმავლობაში, მოთხოვნის აღიარების/ ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველყოფად ღონისძიებები არ განუხორციელებია. ვერ მოხერხდა გარე დასტურის წერილების გაგზავნა, რადგან აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოვალეთა მისამართები და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გამო, ფინანსური მოთხოვნების ინვენტარიზაციის ჩატარებლობის³ პირობებში, ვერ დავრწმუნდით 95,013 ლარის ოდენობის მოთხოვნის რეალობაში.

¹ შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ კაპიტალში შენატანი - 280,000 ლარი, შპს „ბათუმის წყალის“ კაპიტალში შენატანი - 1,749,000 ლარი

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის მე-19 პუნქტი

³ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი



გარემოება N3

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მოთხოვნები მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2,904,769 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 4,607,378 ლარს. 1,285,774 ლარის ოდენობის მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, ორგანიზაციას, 2015 წლის განმავლობაში, აღნიშნული მოთხოვნების აღიარების/ ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველყოფად ღონისძიებები არ განუხორციელებია. ვერ მოხერხდა გარე დასტურის წერილების გაგზავნა, რადგან აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოვალეთა მისამართები და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გამო, ფინანსური მოთხოვნების ინვენტარიზაციის ჩატარებლობის⁴ პირობებში, ვერ დავრწმუნდით 1,285,774 ლარის ოდენობის მოთხოვნის რეალობაში.

გარემოება N4

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 9,555,036 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 25,488,015 ლარს. აუდიტორული პროცედურებით დგინდება, რომ 1,272,911 ლარის ოდენობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან მითითებული თანხები 2012-2014 წლებში დაბრუნებულია ბიუჯეტში (იხ. ცხრილი 2).

N	დასახელება	მოთხოვნის წარმოშობის წელი	მოთხოვნის ოდენობა (ლარი)	ბიუჯეტში დაბრუნებულია (ლარი)	ბიუჯეტში დაბრუნების თარიღი	შენიშვნა
1	შპს "Creative Impressions Caucasus"	2011	17,302	17,302	17-Apr-12	
2	შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“	2011	106,035	106,035	16-Aug-12	
3	შპს „პარაგონი იმპორტი“	2011	2,200	2,200	16-Jul-13	
4	შპს "ანაგი"	2012	25,819	25,819	13-Feb-12	
5	შპს „ზიმო-7“	2012	194,819	194,819	10-Jul-13	
6	შპს „ტონი და კომპანია“	2013	1,181,001	926,736	20-Mar-14	გადამხდელი - შპს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
ჯამი:			1,527,176	1,272,911		

ცხრილი 2. ინფორმაცია მოთხოვნებზე აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

⁴ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი



გარემოება N5

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საბუღალტრო დოკუმენტაციის თანახმად, ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება 187,643 ლარის ოდენობის მოთხოვნა აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მიმწოდებლის⁵ მიერ 2011 წლის თებერვალში⁶ სრულად არის შესრულებული ავანსად დაფინანსებული სახელშეკრულებო⁷ ვალდებულებები⁸. შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნის არსებობის სამართლებრივი საფუძველი.

გარემოება N6

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 1,541,474 ლარის ოდენობის მოთხოვნებზე აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით, დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, ორგანიზაციას, 2015 წლის განმავლობაში, აღნიშნული მოთხოვნების აღიარების/ ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველყოფად ღონისძიებები არ განუხორციელებია. ვერ მოხერხდა გარე დასტურის წერილების გაგზავნა, რადგან აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოვალეთა მისამართები და სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. ზემოაღნიშნულის გამო, ფინანსური მოთხოვნების ინვენტარიზაციის ჩატარებლობის⁹ პირობებში, ვერ დავრწმუნდით 1,541,474 ლარის ოდენობის მოთხოვნის რეალობაში.

გარემოება N7

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საბუღალტრო დოკუმენტაციის თანახმად, ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება 2011-2012 წლებში წარმოშობილი 342,842 ლარის ოდენობის მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით¹⁰. აუდიტის ჯგუფის მიერ გაიგზავნა გარე დასტურის წერილები¹¹, თუმცა დასტურის ან/და უარყოფის შესახებ პასუხი ვერ იქნა მიღებული.

⁵ შპს „ედიელ ენდ ტექნიკს“

⁶ მიღება-ჩაბარების აქტი 13/02/2011 წ.; გადახდის სერტიფიკატი N1, 13/02/2011 წ.

⁷ ხელშეკრულება N471, 09/12/2010 წ.

⁸ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა N894941, 21/02/2011 წ.

⁹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი

¹⁰ ინდ. მეწარმე „ზურაბ თაქთაქიშვილი“, მოთხოვნის წარმოშობის თარიღი - 2011 წელი, ნაშთის ოდენობა - 17,302 ლარი; შპს „ნუნინგი 1“, მოთხოვნის წარმოშობის თარიღი - 2011 წელი, ნაშთის ოდენობა - 216,660 ლარი; შპს „ბაღდათრემშენი“, მოთხოვნის წარმოშობის თარიღი - 2012 წელი, ნაშთის ოდენობა - 97,159 ლარი

¹¹ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წერილები N25/18795, 18/11/2016 წ.; N25/18800, 18/11/2016 წ.; N25/18875, 21/11/2016 წ.



გარემოება N8

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები, 2015 წლის 1 იანვრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 4,200 ლარს. აუდიტის ობიექტის მიერ მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, ორგანიზაციას, 2015 წლის განმავლობაში, აღნიშნული მოთხოვნის აღიარების/ ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველყოფად ღონისძიებები არ განუხორციელებია. ვერ მოხერხდა გარე დასტურის წერილის გაგზავნა, რადგან მოვალე არ არის იდენტიფიცირებული.

გარემოება N9

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, მომუშავეების მიმართ მოთხოვნები 2015 წლის 1 იანვრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 89,463 ლარს. აუდიტის ობიექტის მიერ მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, ორგანიზაციას, 2015 წლის განმავლობაში, აღნიშნული მოთხოვნების აღიარების/ ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვის უზრუნველყოფად არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებია.

გავლენა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის მონაცემები ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან შედარებით არანაკლებ 1,460,554 ლარით არის გაზრდილი.

არაფინანსური აქტივები

გარემოება N1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, შენობა-ნაგებობების ნარჩენი ღირებულება, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 172,679,606 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 164,176,995 ლარს. ორგანიზაციის ბალანსზე ირიცხება 702 ერთეული საცხოვრებელი შენობა. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ საცხოვრებელი შენობების უმრავლესობა იმყოფება კერძო მფლობელობაში და არ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. საბალანსო მონაცემებით, მერიის ბალანსზე ირიცხება აგრეთვე 75 ერთეული შენობა-ნაგებობა. შერჩევითი გადამოწმებით დასტურდება, რომ ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი პრივატიზებულია ან/და უზუფრუქტით გადაცემულია მესამე პირებს. შესაბამისად, მათი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ყოფნის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. მათ



შორის, ჭადრაკის სასახლის შენობა-ნაგებობა¹², ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა-თერთმეტწლედის შენობა¹³ და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები¹⁴ და სხვა. მერიის ბალანსზე ირიცხება აგრეთვე ქუჩების რევილიტაცია, განათება, ხიდები, გაყვანილობების სისტემები და სხვა ნაგებობები, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რა დაფინანსებაც გაწეული იქნა უკანასკნელი წლების განმავლობაში. მერიის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონების დანარჩენი ნაწილი არ არის აღრიცხული საბუღალტრო მონაცემებში.

გარემოება N2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ღირებულება, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 276,376,418 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 327,546,851 ლარს. საბუღალტრო მონაცემებით, დაუმთავრებელ ძირითად აქტივად აღრიცხული ქონების ნაწილი დასრულებულია და მიღებულია ექსპლუატაციაში ან/და საერთოდ არ არსებობს საფუძვლები მისი მერიის ქონებად აღრიცხვასთან დაკავშირებით. მათ შორის, ანბანის კოშკის მშენებლობა (საბალანსო ღირებულება 17,876,142 ლარი)¹⁵, ველოსიპედების პარკინგის მოწყობის სამუშაოები (საბალანსო ღირებულება 2,095,407 ლარი)¹⁶ და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის მიერ განხორციელებულია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დანიშნულების შენობებში განთავსებული მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რის გამოც აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ნაშთის რეალობასთან დაკავშირებით.

გარემოება N3

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, არაწარმოებული აქტივების ნაშთი, 2015 წლის 1 იანვრის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 7,670,401 ლარს. აუდიტის შედეგად დგინდება, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები პრივატიზებულია ან/და გადაცემულია მესამე პირებზე. აგრეთვე, არ იდენტიფიცირდება ბალანსზე არსებული ორი ერთეული მიწის ნაკვეთის მფლობელობა (იხ. ცხრილი 3).

¹² ნარჩენი საბალანსო ღირებულება 983,984 ლარი

¹³ ნარჩენი საბალანსო ღირებულება 67,288 ლარი

¹⁴ ნარჩენი საბალანსო ღირებულება 35,737 ლარი

¹⁵ უსასყიდლოდ გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში

¹⁶ 1,407,757 ლარის ღირებულების სამუშაოები შეტანილია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საწესდებო კაპიტალში.



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

N	დასახელება	საკადასტრო კოდი	საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ბულვარის ტერიტორია)	05.24.02.086	121,500	გადაცემულია სსიპ "ბათუმის ბულვარზე"
2	კაფე ბარი N17-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.23.03.007	6,014	გადაცემულია სსიპ "ბათუმის ბულვარზე"
3	კაფე ბარი N3-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.23.02.005	101,250	გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში
4	კაფე ბარი N4-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.22.01.035	162,000	გადაცემულია იჯარით სარგებლობაში
5	კაფე-ბარ N5-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.21.02.014	162,000	გადაცემულია იჯარით სარგებლობაში
6	კაფე-ბარი N8-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.22.01.006	3,330	გადაცემულია სსიპ "ბათუმის ბულვარზე"
7	კაფე-ბარი N10-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.02.01.023	15,163	არ არის იდენტიფიცირებული
8	კაფე-ბარი N1-ზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.02.01.022	10,125	არ არის იდენტიფიცირებული
9	ფოტო ატელიეზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი	05.22.01.002	39,690	გადაცემულია სსიპ "ბათუმის ბულვარზე"
10	უნივერსიტეტის მიწის ნაკვეთი (ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N4)	05.25.08.010	30,000	პრივატიზებულია
11	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი (ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. N48)	05.21.55.037	1,682,289	პრივატიზებულია
12	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი (ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N4)	05.25.08.010	124,603	პრივატიზებულია
13	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი (ქ. ბათუმი, ოძელაშვილის ქ. N20)	05.26.02.024	5,155,920	პრივატიზებულია
14	არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი (ხელვაჩაური, სალიბაურის რეზერვუარები)	22.22.14.195	56,516	გადაცემულია შპს "ბათუმის წყალზე"
ჯამი:			7,670,401	

ცხრილი 3. ინფორმაცია არაწარმოებული აქტივების შესახებ

გარემოება N4

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, სხვა ძირითადი აქტივების ღირებულება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 11,703,136 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 10,542,603 ლარს. საბუღალტრო



დოკუმენტაციის მიხედვით, არამატერიალურ ძირითად აქტივებად ასახული ქონების ნაწილი¹⁷ არ აკმაყოფილებს ქონების არამატერიალურ აქტივად შეფასების კრიტერიუმებს¹⁸.

გავლენა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის მონაცემები არაფინანსური აქტივების ნაშთის შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეუსაბამოა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასთან.

ვალდებულებები

გარემოება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 30,414 ლარს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 30,764 ლარს. 350 ლარის ოდენობის დავალიანება წარმოშობილია 2015 წელს, ხოლო გადახდილია 2016 წელს¹⁹. 30,414 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საბუღალტრო დოკუმენტაციაში მითითებული კრედიტორები საანგარიშო პერიოდისთვის ლიკვიდირებულია. ამასთან, ვალდებულების წარმოშობის თარიღის²⁰ გამო, გასათვალისწინებელია ხანდაზმულობის საკითხიც.

გავლენა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის მონაცემები სხვა მოკლევადიანი დავალიანებების შესახებ, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან შედარებით, არანაკლებ 30,414 ლარით არის გაზრდილი.

¹⁷ მაგ. საგადასახადო დოკუმენტები, იურიდიული ლიტერატურა, სხვადასხვა ხასიათის წიგნები, პლაკატები და ა. შ.

¹⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/ მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის

¹⁹ 23/03/2016 წ.

²⁰ 2002 წ.; 2004 წ.



ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯი, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 12,379,752 ლარს. აუდიტორული პროცედურების შედეგად დგინდება, რომ ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯში ასახულია იმ ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთაც, რომელიც მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით, არ ექვემდებარებოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე აღრიცხვას²¹. აგრეთვე, რიგ დასრულებულ და ექსპლუატაციაში მყოფ ძირითად აქტივებს არ ერიცხება ცვეთა, რაც ხელოვნურად ზრდის მათ ღირებულებებს და შესაბამისად, ამცირებს ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივ ხარჯს.

გავლენა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის ინფორმაცია, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ, შეუსაბამოა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასთან.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

ადამიანური რესურსების მართვა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 4,385,116 ლარი. მათ შორის, თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 2,826,814 ლარი, პრემიის სახით - 886,758 ლარი (შრომის ანაზღაურების 20.2%), ხოლო დანამატის სახით - 671,545 ლარი (შრომის ანაზღაურების 15.3%).


2015 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების სრულმა ხარჯმა შეადგინა 275,762 ლარი. მათ შორის, 150,562 ლარი გაწეულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის მიერ, 34,400 ლარი²² გახარჯულია

²¹ იხ. არაფინანსური აქტივები

²² ერთჯერადად დაქირავებული პირების ხელფასი



„ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი“ ქვეპროგრამის²³ ფარგლებში, ხოლო 90,800 ლარი²⁴ - ახალგაზრდობის საქმეთა ღონისძიებების²⁵ ფარგლებში. 2013-2015 წლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნობის ცვლილება და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯები შემდეგი სახისაა:



დიაგრამა 2. ინფორმაცია 2013-2015 წწ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების შესახებ

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბალანსის თანახმად, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯმა შეადგინა 220,598 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 211,933 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ აღნიშნული ხარჯიდან 45,638 ლარის ღირებულების 28,431 ლიტრი ბენზინი/დიზელის საწვავი გახარჯულია 28 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არ ირიცხება მერიის ბალანსზე და იმყოფებოდა მერიის საჯარო მოსამსახურეების მფლობელობაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი. აუდიტის ობიექტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დადასტურება შეუძლებელია, შესაბამისად, გაწეული სარგებელი ექვემდებარებოდა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას.

²³ ბიუჯეტის პროგრამული კოდი 05 02 02

²⁴ 228 სტუდენტისთვის გადახდილი თანხა

²⁵ ბიუჯეტის პროგრამული კოდი 05 03 01



ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

2015 წელს საინვენტარიზაციო კომისიის²⁶ მიერ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ქონებიდან განხორციელებული იქნა მხოლოდ ადმინისტრაციული დანიშნულების მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლი.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურამ დუმბაძე

/უფროსი აუდიტორი/

მინდია ჯორთმენაძე

/აუდიტორი/

რამაზ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

21 დეკემბერი 2016 წელი

²⁶ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N823, 21/10/2015 წ.



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბო ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბო უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		2,029,000
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	95,013	95,013
210	გადახდილი დღგ	1356	154	251,018
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	20,030	20,030
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერიით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	2,904,769	4,607,378
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	9,555,036	25,488,015
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	4,200	4,200
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	89,463	89,463
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		



**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში**

II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	55,642,136	56,963,950
410	შენობა-ნაგებობები	2110	172,679,606	164,176,995
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	9,141,952	7,723,624
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	11,703,136	10,542,603
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	276,376,418	327,546,851
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	9,503,931	9,752,605
460	ფასეულობები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400	7,670,401	7,670,401
	ბალანსი		555,386,244	616,961,145

I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		45,171
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	2,385,392	4,019,539
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246	2,037	2,037
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	26	26
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	30,414	30,764
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	125,697,066	126,451,060
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	427,271,311	486,412,550
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი	5230		
	ბალანსი		555,386,244	616,961,145



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

სტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	46,504,700	47,802,571	47,245,507	62,732,882	46,289,910	57,400,786	11,110,876
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	4,590,500	4,590,500	4,385,216	4,385,117	4,385,116	4,385,116	0
030	1.1.1 ხელფასები	211	4,590,500	4,590,500	4,385,216	4,385,117	4,385,116	4,385,116	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	0	0	4,385,216	4,385,117	4,385,116	4,385,116	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111			2,826,814	2,826,814	2,826,814	2,826,814	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			886,758	886,758	886,758	886,758	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114			671,644	671,545	671,545	671,545	0
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1 ფაქტ. განხორციელ. სოციალ. შენატანები	2121							0
140	1.1.2.2 პირობითად განხორც. სოციალ. შენატანები	2122							0
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	16,118,900	16,950,905	16,878,358	16,379,809	16,379,809	16,271,098	-108,711
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221			275,762	275,762	275,762	275,762	0
170	1.2.2 მივლინებები	222			30,350	29,119	29,119	29,119	0
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223			1,083,572	1,047,488	1,047,488	861,409	-186,079
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224			45,714	45,477	45,477	37,687	-7,790
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							0
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226							0
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227			10,929	10,929	10,929	4,080	-6,849
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228			254,844	220,598	220,598	211,933	-8,665
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							0
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210			15,177,187	14,750,436	14,750,436	14,851,108	100,672
260	1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება	23						12,379,752	12,379,752
270	1.4 პროცენტი	24	2,666,700	2,666,700	2,634,501	2,586,915	2,586,915	2,586,915	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							0
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							0



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							0
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242			2,634,501	2,586,915	2,586,915	2,586,915	0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							0
350	1.5 სუბსიდიები	25	16,070,000	14,244,000	14,236,493	14,052,440	14,052,440	12,352,358	-1,700,082
360	1.6 გრანტები	26	5,000	1,833,700	1,830,457	18,273,457	1,830,457	1,955,395	124,938
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0		0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	0	0	4,457	4,457	4,457	4,457	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621			4,457	4,457	4,457	4,457	0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	1,826,000	18,269,000	1,826,000	1,950,938	124,938
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631			1,826,000	18,269,000	1,826,000	1,826,542	542
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632						124,396	124,396
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	5,399,100	6,110,703	5,945,227	5,736,930	5,736,930	5,745,545	8,615
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							0
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							0
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	0	0	5,748,723	5,540,426	5,540,426	5,549,041	8,615
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721			5,748,723	5,540,426	5,540,426	5,549,041	8,615
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							0
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	0	196,504	196,504	196,504	196,504	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731			196,504	196,504	196,504	196,504	0
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							0
560	1.8 სხვა ხარჯები	28	1,654,500	1,406,063	1,335,255	1,318,214	1,318,243	1,724,607	406,364
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281	0	0	0	0	0	0	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							0
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							0
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშ. ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813							0
610	1.8.1.4 რენტა	2814							0
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	0	1,335,255	1,318,214	1,318,243	1,724,607	406,364
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821			1,109,724	1,092,767	1,092,767	1,498,782	406,015
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822			225,531	225,447	225,477	225,825	348



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. არაფინანსური აქტივები	31	49,036,300	47,219,042	44,758,984	43,796,867	43,796,867
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	0	0	44,758,984	43,796,867	43,796,867
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	44,292,742	43,330,625	43,330,625
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111			73,540	69,340	69,340
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112			4,414,003	4,346,276	4,346,276
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114			12,916,604	12,327,659	12,327,659
080	1.1.1.5 გზები	31115			1,138,498	1,138,498	1,138,498
090	1.1.1.6 ხიდები	31116			17,464	17,464	17,464
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118			16,048,498	15,943,083	15,943,083
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119			1,328,409	1,328,409	1,328,409
130	1.1.1.10 მილსადენები	311110					
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111			8,355,726	8,159,896	8,159,896
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	0	0	466,242	466,242	466,242
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122			466,242	466,242	466,242
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	0	0	0
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	0	0	0	0	0
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	0	0	0	0	0
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შემენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	0	0	0	0	0



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრუქტურის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
10	1. ფინანსური აქტივები	32	2,029,000	2,029,000	2,029,000	2,029,000	2,029,000
20	1.1 საშინაო	321	0	0	2,029,000	2,029,000	2,029,000
30	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
40	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
50	1.1.3 სესხები	3214					
60	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215			2,029,000	2,029,000	2,029,000
70	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
80	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
90	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	10,052,400	10,601,205	10,219,347	10,187,282	10,187,282
200	2.1 საშინაო	331	0	0	10,219,347	10,187,282	10,187,282
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314			9,791,248	9,779,233	9,779,233
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მზ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318			428,099	408,049	408,049
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის №	დებეტი	თანა	ანგარიშის №	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	427,271,311
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	4,385,116	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	102,303,059
7200	საქონელი და მომსახურება	16,274,824	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	12,379,752	6000	შემოსავლები	13,290,421
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	12,379,752	6300	მ.შ. გრანტები	13,106,987
7400	პროცენტი	2,586,915			
7500	სუბსიდია	12,352,358			
7600	გრანტები	1,955,395			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	5,745,545			
7800	სხვა ხარჯები	1,727,084			
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	143,041	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	1,097,789
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებიტო ბრუნვა	57,550,030		საკრედიტო ბრუნვა	116,691,269
	სულ ჯამი:**	57,550,030		სულ ჯამი:***	543,962,580
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	486,412,550



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N5

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება						გასვლა						ნაშთი წლის (პერიოდისთვის) ბოლოს
			შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	გრანტებით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მონხარება	საქონელი და მომსახურებით	
010	1. მატერიალური მარაგები	55,642,136	0	1,405,597	0	10,776	0	0	542	0	0	1,495	0	92,521	56,963,950
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	55,642,136	0	1,405,597	0	10,776	0	0	542	0	0	1,495	0	92,521	56,963,950
040	1.2.1. ნედლეული და მასალები	53,994,406		1,271,322											55,265,728
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	4,575													4,575
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები	78,923													78,923
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	1,564,232		134,275		10,776			542			1,495		92,521	1,614,725
110	2. ძირითადი აქტივები	469,901,112	1,859,794	50,033,234	4,975	54,146	574,211	1,495	27,163	0	31,978	0	12,379,752	0	509,990,075
120	2.1 შენობა-ნაგებობები	172,679,606	2,350	265,640	0	10,338	563,041	0	0	0	0	0	9,343,980	0	164,176,995
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	5,407,309											79,981		5,327,329
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	32,388,982	2,350	2,350		10,338	378,282						484,491		32,297,812
160	2.1.4 ქუჩები	50,488,144					75						3,701,610		46,786,608
170	2.1.5 გზები														0
180	2.1.6 ხიდები	4,675,423											49,030		4,626,392
200	2.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	23,526,004		263,290									1,672,719		22,116,575
230	2.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	56,193,744					184,684						3,356,148		53,022,279
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9,141,952	0	333,982	4,975	38,808	11,119	1,495	27,163	0	1,333	0	1,780,210	0	7,723,625
250	2.2. სატრანსპორტო საშუალებ.	1,367,555			4,975		9,961		1,845		1,333		303,775		1,075,538
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	7,774,397		333,982		38,808	1,158	1,495	25,318				1,476,435		6,648,087
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	11,703,136	0	90,029	0	5,000	0	0	0	0	0	0	1,255,562	0	10,542,603
280	2.3.1 კულტივირ. აქტივები	5,637,286													5,637,286
290	2.3.2 არმატერიალური ძირითადი აქტივები	6,065,850		90,029		5,000							1,255,562		4,905,318
300	2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	276,376,418	1,857,444	49,343,583			51				30,645				327,546,851
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	9,503,931		191,885	44,181	116,034			97,233	6,193					9,752,605
320	4. ფასეულობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
360	5. არაწარმოებული აქტივები	7,670,401	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	7,670,401
370	5.1 მიწა	7,670,401													7,670,401



ბალანსის დანართი ფორმა N6

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები															
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)				
			შემენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	82	1,367,554				2	6,822	202,802	51,319	147,262		194,138	51,319	138,667	
მ.შ. მსუბუქი	39	190,777				1	1,846								
ჯიპები და პიკაპები	4	68,399		1											
სამგზავრო სატრანს. საშუალებები	4	2,208				1	4,975								
სატვირთო	35	1,106,170													